შპს „ჯეოპლასტი“ "Geoplast" Ltd

ალ. ყაზბეგის გამზირი, N12ᵇ Tel. +995 577100104 12ᵇ Al. Kazbegi ave. Tbilisi
E-mail: geoplast2019@gmail.com

№_____ "___"_______ 2019

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის მინისტრს ბატონ ლევან დავითაშვილს
შ.პ.ს. „ჯეოპლასტი“-ს დირექტორის დიმიტრი ჩხენკელის

# სკრინინგის განცხადება

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ ჩვენს საკუთრებაში მყოფი ობიექტის და არსებული ნაგებობების ფართი, ასევე ტექნიკური მდგომარეობა (იხ. სკრინინგის ანგარიში დანართი გგ. 1, 2, 3, 4, 5) იძლევა საშუალებას ობიექტი გამოყენებული იქნას პოლიმერული ტარის ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს შექმნის, რომლის ძირითადი პროდუქცია იქნება პოლიმერული ნარჩნების გადამუშავების შედეგად მიღებული გრანულების წარმოება. აღსანიშნავია, რომ გამოყენებული იქნება სხვადასხვა სახის პოლიმერების ნარჩენები, რომელთა დახარისხების შედეგად მიიღება კონკრეტული პოლიმერის ნედლეული.

ნედლეულად გამოყენებული იქნება სხვადასხვა პოლიმერის ნარჩენები, ადგილობრივ შეგროვილი და მიღებული საზღვარგარეთიდან. არსებითად მოხდება სხვადასხვა სახის პოლიმერის გრანულების დამზადება, რომლებსაც გამოიყენებენ, როგორც ადგილობრივი ასევე საზღვარგარეთის საწარმოები.

მზა პროდუქციის გადაადგილება, როგორც რესპუბლიკის ტერიტორიაზე ასევე საზღვარგარეთ შესრულდება საერთაშორისო ნორმატივებისა და კონვენციების მოთხოვნების შესაბამისად.

ნებისმიერი საქმიანობა განსასჯელია გარემოსდაცვითი კოდექსის შესაბამისი მუხლებით და დანართებით. ეკონომიკის სამინისტროს ნორმატიულ ჩამონათვალში აღნიშნული საქმიანობა სანებართვო ობიექტების სიაში არ არის. ასევე არ არის გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის დანართებში კონკრეტული მითითება აღნიშნულ წარმოებასთან დაკავშირებით. მიუხედავად ამისა ნარჩენების გადამუშავებისა და ნედლეულის და პროდუქციის რესპუბლიკაში რეალიზაციის და ასევე ექსპორტირების განზრახულობებთან დაკავშირებით ასეთი საქმიანობისა და საწარმოებისათვის თუ არის განზრახული რაიმე ნებართვა, მზად ვართ შესაბამისი დოკუმენტაციის შესრულებისათვის თქვენი მითითების თანახმად.

გთხოვთ თქვენ გადაწყვეტილებას საქმიანობის შეფასებასა და სანებართვო გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით.

დანართი: სკრინინგის ანგარიში 15 გვერდზე

პატივისცემით
შ.პ.ს. „ჯეოპლასტი“-ს
დირექტორის დიმიტრი ჩხენკელი

№ 9115
24 05 2019
1 ფ.
02